

## გრაფიტი ინტერიერის დიზაინში

სტუდენტი – გიორგი არწივიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი  
ბაკალავრიატი, III კურსი

ხელმძღვანელი – მარიამ ხაბეიშვილი  
არქიტექტურის დოქტორი, უფროსი მასწავლებელი

ქუჩის ხელოვნება (street-art), როგორც ურბანული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, წარმატებით ახდენს ხელოვნების ინტეგრირებას საქალაქო გარემოს არაერთგვაროვან საინფორმაციო შრეში.

თანამედროვე ინტერიერის დიზაინში, იქ სადაც მოხდა დეკორის როლის და მისი კონცეფციის გადაფასება, ქუჩის ხელოვნების ყველაზე გავრცელებული და ცნობილი ჟანრი – გრაფიტი შევიდა, როგორც საკვანძო სინთეზური ელემენტი, რომელმაც მკაფიო, უჩვეულო დიზაინით ვიზუალურად გახსნა საზღვრები, გავიდა ჩარჩოებიდან და გახდა ნებისმიერი ინტერიერისთვის უნიკალური სავიზიტო ბარათი.

## Graffiti in interior design

Student – Giorgi Artsividze  
Georgian Technical University  
Faculty of Architecture, Urban Planning and Design  
Bachelor III year

Research director – Mariam khabeishvili  
Architecture Ph.D., Senior Lecturer

Street art (street art), as an important part of urban culture successfully integrating, heterogeneous urban environment in the information layer.

The modern interior design, where the decoration of the role and the concept of re-evaluation. Street art, the most common and well-known genre-graffiti entered as a key synthetic element that has a distinct, unusual designs visually open borders, has passed from the frame and to any interior for unique business card.

## გრაფიტი ინტერიერის დიზაინში

სტუდენტი: გიორგი არწივიძე  
ხელმძღვანელი: მარიამ ხაბეიშვილი

თუ გადავხედავთ გრაფიტის ისტორიას, 1960-70-იანი წლების მოყვარული რაიტერების მოძრაობა ამერიკაში იგი მიზნად არ ისახავდა ურბანული გარემოს სრულყოფას ვიზუალური თვალსაზრისით. მისთვის პროტესტის გამოხატვა იყო პრიორიტეტი. გარკვეულწილად სწორედ ამან განაპირობა გრაფიტის, როგორც უკანონო და ვანდალური ქმედების აქტად მოაზრება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. თანამედროვე გრაფიტი კი, როგორც ხელოვნება თანდათან დგება ამ მოძრაობაში არსებულ ნეგატიურ გამოვლინებებზე მაღლა და წმინდა მარგინალური მიმართულებიდან, რომელიც უკავშირდება მხოლოდ ჩამოყალიბებული ურბანული გარემოს მიმართ პროტესტს, გადადის სამართლებრივი ხელოვნების ფორმაში და სხვაგვარად ახდენს თავისი შემოქმედების რეპრეზენტაციას საქალაქო გარემოს არაერთგვაროვან საინფორმაციო შრეში. ამან განაპირობა ქუჩის ხელოვნების ამ მოცემული ტიპის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ტრანსფორმაცა, რაც აისახა მასთან სინთეზირებული ხელოვნების სხვა სფეროებზეც, რომლებიც თავის მხრივ გამდიდრებულნი ახალი მხატვრული ხერხებით, აწვითარებენ გრაფიტიში ახალ, საინტერესო პოტენციალს. ეს შემოქმედებითი აქტივობა თავისებურად ჩაერთო დიზაინის, არქიტექტურის და სხვა ამოცანების გადაჭრის საქმეში.

რიგი ცნობილი მხატვრებისთვის და დიზაინერებისთვის მაგ. Mike Giant, Pursue, Rime, Noah და სხვებისთვის გრაფიტი გახდა ე.წ. სასტარტო მოედანი. მათ გაიკეთეს კარიერა სამრეწველო დიზაინის და ტანსაცმლის დიზაინის სფეროში. ასევე დიზაინში გრაფიტის შეღწევის ნათელი მაგალითია სტუდია - „123Klan“, რომელიც წარმატებით იყენებს გრაფიტის და ამუშავებს ლოგოტიპებს, ილუსტრაციებს, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის დიზაინს ისეთი ცნობილი კომპანიებისთვის როგორებიცაა Nike, Adidas, Lamborghini, Coca Cola, Sony და სხვანი.

გრაფიკის გავლენა, შეინიშნება გრაფიკული დიზაინის ბევრ სფეროში კერძოდ: სატელევიზიო გადაცემების სტილის ვიზუალური გადაწყვეტის, საკვები პროდუქციის შეფუთვის, ტიპოგრაფიკის, წიგნის დიზაინის, ვებ-დიზაინის სფეროებში. დღეს, გრაფიკი ვლინდება ყველაფერზე - სამოსზე, აქსესუარებზე, ჭურჭელზე, სანათებზე, საიუველირო ნაკეთობებზე და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გრაფიკის გავლენა არქიტექტურაზე, რომელიც მიედინება ორი სრულიად საპირისპირო - ნეგატიური და პოზიტიური მიმართულებით. პირველი მიმართულება ხშირად უკავშირდება შენობებზე ნაკაწრი ნაკლებად მიმზიდველი წარწერების დემონსტრირებას, ხოლო მეორე - თანამედროვე არქიტექტურაზე ძლიერი კონცეპტუალური ზეგავლენის მქონე გრაფიკის, როგორც არტ-ფენომენის გაგებას. ამ უკანასკნელში არქიტექტურის და გრაფიკის მრავალმხრივი ურთიერთშეხება მდგომარეობს სინთეზისკენ სინქრონულ სწრაფვაში. ამასთან თითოეული მადგანი მიზნისკენ მიემართება თავისებურად.

გრაფიკის ფენომენის გავლენა არქიტექტურაზე შეიძლება განიხილოს ტრადიციულ ისტორიულ-არქიტექტურულ ასპექტში - რაც გულისხმობს არქიტექტურული ობიექტების ზედაპირების ორნამენტულ ან მხაზველობით დამუშავებას და თანამედროვე მხატვრულ-კულტურულ ასპექტში - რაც გულისხმობს არქიტექტურის კონცეპტუალურ საფუძვლებზე კულტურის და ხელოვნების გავლენას. რიგი თანამედროვე არქიტექტურული პროექტები და კონცეფციები გრაფიკის მხატვრულ-კულტურული ფენომენის ესთეტიკის შეტანას ახერხებენ სხვადასხვა მეთოდებით: შენობის ზედაპირებზე ბეჭდვით და ამოჭრით; პერფორაციით; გრაფიკის სტილიზებული წარწერების საფუძველზე სკულპტურული მოდელირებით და ა.შ.

არქიტექტურის და გრაფიკის დაკავშირების იდეა აისახა ბევრი ისეთი ცნობილი არქიტექტურული ბიუროების პროექტებში როგორებიცაა: Herzog & de Meuron - „ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“ კოტბუსში 2004წ., „40 Bond Street“ ნიუ-იორკში 2007წ.; Metaform Architects - „საცხოვრებელი სახლი ლუქსემბურგში“ 2011წ.; ITN Architecture - „საცხოვრებელი სახლი

მელბურნში“ 2012წ. და სხვა. შვეიცარიული არქიტექტურული ფირმა ჰერცოგ და დე მერონი (გერმ. Herzog & de Meuron) იყო პირველი, რომელმაც გრაფიკის გამოყენების იდეა განახორციელა არქიტექტურულ ობიექტებში თვისობრივად ახალ დონეზე. ამ მიმართულებით საინტერესოა „ბრანდენბურგის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“ კოტბუსში - ნათელი "ამებისმსგავსი", 32მ. სიმაღლის მქონე მოცულობა მინის ფასადით, რომლის მთელ ზედაპირზე გამრავლებულია, გრაფიკის სტილში გაბედილი, ოდნავ გულგრილი ექსპრესიით შესრულებული, სხვადასხვა ენების ანბანებით და ტექსტებით მიღებული წარწერები. ექსტერიერის ეს „მინის ფარდა“ იკითხება ბიბლიოთეკის ინტერიერშიც და ქმნის საოცარ, იდუმალ ატმოსფეროს; თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი „40 Bond Street“ ნიუ-იორკში, მკაცრი მართკუთხა ფორმის შენობა, მთავარ ფასადზე განთავსებული დაახლოებით 40მ. სიგრძის და ცვალებადი 2,5მ-7მ. სიმაღლის სამგანზომილებიანი ღობით, შესრულებულია მხატვრულად სტილიზებული და გამრავლებული გრაფიკის საფუძველზე. ეს გაქვავებული თეთრი სკულპტურული ასოები ერთმანეთთან ფარულად დაკავშირებული ოთხი ძირითადი მოდულია და არ არის ერთადერთი ელემენტი, რომელსაც შემოაქვს გრაფიკის ფენომენის ესთეტიკა მოცემულ ობიექტში. იგივე თემა ვითარება და გრძელდება საცხოვრებელი სახლის ინტერიერებშიც, კედლებზე, ჭერზე და ა.შ. არქიტექტურული სტუდიის Metaform Architects - ის პროექტი მცირე საცხოვრებელი კომპლექსი სხვადასხვა ზომის და კონფიგურაციის მქონე ოთხი ბინით ლუქსემბურგში, თანამედროვე არქიტექტურის და ქუჩის ხელოვნების სიმბიოზზე აგებული კონცეფციაა, რომლის ფასადები და ბინების ინტერიერები მოხატულია რაიტერი Sumo-ს გრაფიკის მკვეთრი ფრაგმენტებით. ITN Architecture სტუდიის არქიტექტორ Zvi Belling ის პროექტი - საცხოვრებელი სახლი მელბურნში, რომლის ძირითადი ელემენტებია რაიტერ Prowla-ს ოთხი მეტრი სიმაღლის უზარმაზარი ბეტონის ასოები, შესრულებული "Wild Style" - ში, უკვე გახდა კვარტალის სახე და ე.წ. არტ-ობიექტი.

ამ ნამუშევრებში ტეგის მოტივები სტილიზირებულია არქიტექტურულ კონტექსტში, გადამუშავებულია გრაფიკის ფერწერა და გამარტივებული

ნიშნების სისტემა წარმოდგენილია რითმიული, ორგანიზებული ორნამენტის სახით, რომელიც ერთი მხრივ არის ნაგებობის დეკორატიული ელემენტი, ხოლო მეორე მხრივ მინიშნებაა პირველსაწყისზე. დიზაინერულ გადაწყვეტაში გრაფიკის მეამბოხე სული იკითხება ნახატის მდიდარი პოლიქრომიით და შრიფტის ფიგურალური პლასტიკით. არქიტექტურა იყენებს რა გრაფიკის გაბედულად, თუმცა უაღრესად დოზირებულად, მიისწრაფვის გამოავლინოს და ხაზი გაუსვას მოცემული ფენომენის იმ მხატვრულ ღირსებებს, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს ჰარმონიზაციას და ინდივიდუალიზაციას. გრაფიკი და არქიტექტურა იმდენად განიმსჭვალნენ ერთმანეთით, რომ არა მარტო ექსტერიერში არამედ თანამედროვე ინტერიერის დიზაინშიც, იქ სადაც მოხდა დეკორის როლის და მისი კონცეფციის გადაფასება, გრაფიკი შევიდა, როგორც საკვანძო სინთეზური ელემენტი, რომელმაც მკაფიო, უჩვეულო დიზაინით ვიზუალურად გახსნა საზღვრები, გავიდა ჩარჩოებიდან და გახდა ნებისმიერი ინტერიერისთვის უნიკალური სავიზიტო ბარათი.

ხშირად გრაფიკი გვევლინება დიზაინის კონცეფციის განმსაზღვრელ მხატვრულ ელემენტად, რომელიც კონტექსტში ჩართული, როგორც აქცენტი ან კედლების მთელი ზედაპირების შემავსებელი დეკორი, ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს ინტერიერს და დაუვიწყარს ხდის მას. ასე მაგ. მარსელში მდებარე სასტუმრო „პანიკის ოთახის“ ინტერიერი მოხატული ფრანგი რაიტერის Tilt-ის მიერ ეფუძნება სივრცის ორად გაყოფის იდეას, ერთ სრულიად თეთრ ნაწილს და მეორე მოხატულ, განზრახ ექსპრესიულ, კაშკაშა გრაფიკს. ამასთან გამყოფი ხაზი იპყრობს მის გზაზე არსებულ ყველა საგანს. ამგვარად, სარკის ერთი ნახევარი მარტივია, მეორე გასაოცარია ფერების ფერვერკით, იგივე ეხება საწოლს, ხალიჩას და ა.შ.

ინტერიერის დიზაინში ინოვაციები შემოაქვთ თანამედროვეობის ამსახველ, გარკვეულ დეკორატიულ ელემენტებს, ავეჯს გრაფიკის უნიკალური კომპოზიციებით როგორებიცაა მაგ.: იტალიური კომპანია Hollo-ს დიზაინერ Andrea Magnani-ის საავტორო კარადები; „Love Anna James“ ბრენდით დამზადებული ბრიტანელი დიზაინერის და მხატვარ დეკორატორის Anna James

ავეჯი - „Verona“ და „Romeo & Juliet“; Burke and Hazelden-ის ექსკლუზიური კოლექცია, კერძოდ კარადა „Alladin Sane“; ახალგაზრდა ბრიტანელი დიზაინერის Jimmie Martin-ის ინტერიერის საგნები, გრაფიტი კლასიკური სტილის ავეჯზე; სააგენტო Brooklyn NYPD-ის და დიზაინერ Ted Nemeth-ის ჭეშმარიტად „ქუჩური“ ავეჯი, კერძოდ სავარძელი Трон (Throne) და სხვა.

ცოტა ხნის წინ, მხოლოდ ქალაქის უბნების პრეროგატივა - გრაფიტის ფენომენი დღესაც ისეთივე საინტერესო და აქტუალურია, როგორც მრავალი წლის წინ და უკვე, როგორც დიზაინის სრულფასოვანი დეკორი, „აჩქარებულ ფერწერაში“ ჩადებული გააფთრებული, დაუოკებელი ენერგეტიკით ინარჩუნებს მოძრაობას ინტერიერშიც. აშკარაა, რომ ეს არ არის მოსაწყენი დეკორი ეს არის დინამიკა ქაოსის ზღვარზე.

გამოყენებული წყაროები:

1. ზ. კიკნაძე, ნ. ხაბეიშვილი, მ. ხაბეიშვილი., ქუჩის ხელოვნების ემოციური, სოციალური დატვირთვა და ადგილი ურბანული გარემოს ვიზუალური აღქმის კონტექსტში., ქ. თბილისი., საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "განათლება"., №2(11), 2014.
2. Медведева О. П., Искусство граффити., Ростов-на-Дону., 2005.
3. <http://cyberleninka.ru/article/n/fenomen-graffiti-genezis-perspektivy-vliyanie-na-sovremennoe-iskusstvo-i-arhitekturu> (ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).
4. <http://www.lookatme.ru/flow/posts/interiors/88266-ves-etot-strit-art-2010-03-24> (ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).
5. [http://archvuz.ru/2014\\_22/18](http://archvuz.ru/2014_22/18) (ნახვის ბოლო თარიღი 28.05.2016).